ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №7
2023 წლის 30 მარტი

ქ. ონი

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 აპრილის №25 დადგენილებაში ცვილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 აპრილის №25 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 24/04/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.118.016244) შევიდეს ცვლილება და დადგენილების:

1. პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 209^3, 239-ე მუხლის მე-14 და 27-ე ნაწილების, 240-ე და 240^1 მუხლების, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/345 ბრძანების საფუძველზე, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**“.

2. დანართი №1 „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული ონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას მიკუთნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის“ მე-3 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საჯარო მოხელე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 46^5, 46^6 , 55^2, 55^6, 77^1 და 77^2 მუხლებით, 82^5 მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 103-ე მუხლის პირველი ნაწილის, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134^1, 135-ე, 146^1, 148-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 150-ე მუხლებით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 151^2,152-ე, 152^2 –152^9 და 153^4 მუხლებით, 153^6 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით,156^1, 158^3 და 158^4 მუხლებით, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებითა და 159-ე, 159^1 , 172^8 და 172^9 მუხლებით და ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენის მიზნით უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს შეუზღუდავად განახორციელოს შემოწმება.“;

ბ) მე-13 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-14 პუნქტი:

„14. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 46^5, 46^6 , 55^2, 55^6, 77^1 და 77^2 მუხლებით, 82^5 მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 103-ე მუხლის პირველი ნაწილის, 134^1, 135-ე, 146^1, 148-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 150-ე მუხლებით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 151^2,152-ე, 152^2–152^9 და 153^4 მუხლებით, 153^6 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებითა და 159-ე, 159^1 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას სამართალდამრღვევის იდენტიფიცირებისთვის ან სხვა ფაქტობრივი გარემოებების დადგენისთვის ადმინისტრაციული წარმოება საჭირო არ არის, ონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ზედამხედველობის სამსახური საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290^6 მუხლის გათვალისწინებით ადგილზე განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევს ადგილზევე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს (ჯარიმას).“.

2. მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 46^5, 46^6, 55^2 , 55^6, 77^1 და 77^2 მუხლებით, 82^5 მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 103-ე მუხლის პირველი ნაწილით, 134^1, 135-ე, 146^1, 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით და 150-ე მუხლით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 151^2,152-ე, 152^2–152^9 და 153^4 მუხლებით, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებითა და 159-ე, 159^1 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე, მისი შედგენიდან 10 დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეუძლია გაასაჩივროს ონის მუნიციპალიტეტის მერთან.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 აპრილიდან.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **ბაჩანა მარკოიშვილი**